



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კობახიძე ირაკლი გიორგის ძე

კობახიძე ირაკლი გიორგის ძე (დ. 25. X. 1978, თბილისი), იურისტი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე 2016-19.

2000 დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი, 2006 - ჰ. ჰაინეს სახ. დიუსელდორფის უნ-ტი (გერმანია) სამართლის დოქტორის ხარისხით. 2000-01 მუშაობდა აშშ-ის საერთაშ. განვითარების სააგენტოში (USAID) საზ. განათლების პროექტის რეგიონულ კოორდინატორად, 2005-12 - თსუ-ში ასისტენტ-პროფესორად, 2011-14 - კავკასიის უნ-ტში ასოცირებულ პროფესორად; 2011-12 იყო ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პროგრამის ექსპერტთა კომიტეტის წევრი, ამავე დროს - ორგანიზაციის „ევროპის საბჭოს წარმომადგენლობა საქართველოში“ ექსპერტი სტრატეგიული დაგეგმვის საკითხებში, 2006-14 - გაეროს განვითარების პროგრამაში (UNDP) ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული განვითარების პროექტების ექსპერტი და მენეჯერი. 2014-იდან არის თსუ-ის ასოცირებული პროფესორი. k. არის საქართვე. მე-9 და მე-10 მოწვევის პარლამენტარი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი, 2021-იდან - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავ-რე. დაჯილდოებულია თავისუფლების საპარლამენტო ორდენით (2021).
